ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3318091

ნომერი: AR1513487

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 16.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ყოფ. მწელაძე), N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ ფარულავა პ/ნ 62004013658
- გულრიფში კონსტიტუციის ქ. N 6 ბ. 48

ორგანიზაცია:
- მარჯი კოდი: 211377767

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 12 ივნისის AR1513487 განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თაბუკაშვილის (ყოფ. მნელაძე) ქ.N27-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქციის (ფასადის შეღებვა, კონდიციონერებისა და სარეკლამო აბრების მოწყობა) საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, თაბუკაშვილის (ყოფ. მნელაძე) ქ.N27-ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ამასთან, საქართველოს მთვრობის 2017 წლის 31 მარტის N621 განკარგულებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა რ. თაბუკაშვილის ქ. N27 / ბროსეს ქ. N3-ში მდებარე და ამჟამად დემონტირებულ ობიექტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ირკვევა, გააჩნია თუ არა შენობას, რომელზეც ითხოვთ I კლასის სამუშაოების განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის გაცემას, კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილი სარეკონსტრუქციო შენობის სტატუსის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. მთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.